ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №53

23 სექტემბერი, 2025 წელი
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნათია მოდებაძე და გურამ ოქროპირიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი.**

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს, ირაკლი გვილავას.

ირაკლი გვილავამ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს საანგარიშო პერიოდში ჩატარებული ღონისძიებების, მიმდინარე პროექტების და მიმდინარე რეაბილიტაცია - სარესტავრაციო სამუშაოების შესახებ ანგარიში გააცნო.

ირაკლი გვილავამ დეტალურად ისაუბრა 2025 წელს შესრულებული სამუშაოების შესახებ.

ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ა(ა)იპ ქ. თბილისის სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის სასცენო ინფრასტრუქტურის სრული განახლება (დარბაზის სკამებისა და სასცენო ფარდის შეცვლა, საპირფარეშოები, საგრიმიოროები, საშხაპეები) – 148 135 ლარი, ასევე იატაკის მოწყობა - 70 000 ლარი;
- სრული სარემონტო-სარეაბილიტაციოები ჩაუტარდა სამ ხელოვნების სკოლას (N2, N19, N28) – 2 775 300 ლარი;
- ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეის ავეჯით და ტექნიკით აღჭურვა - 222 000 ლარი;
- დიდუბის პანთეონის გალავანის რეაბილიტაცია - 57 732 ლარი.

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა:

- N25 (ლილო), N9 (ვაკე), N18(გლდანი), N6 (დიდუბე), N21 (კრწანისი) ფილიალის სრული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღჭურვა (წიგნადი ფონდი, ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, ინვენტარი) – 2 000 000 ლარი;
- ვაკის მედიათეკისთვის მცირე სარემონტო სამუსაოები - 53 000 ლარი;
- ვარკეთილის მედიათეკის ღია ვერანდის (რომელზეც მოთავსებულია გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის დანადგარები) გადახურვის მოწყობის სამუშაოები - 14 300 ლარი;
- ახალი ზღვის უბნის მედიათეკის (ნაძალადევი) გახსნა, აღჭურვა (ავეჯი, კომპიუტერი, ინვენტარი) დამატებითი განათების სისტემის მოწყობა - 290 000 ლარი;
- N3 (სამგორი) ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დასრულებული ტენდერი - 165 000 ლარი;
- N26 ფილიალის პირველი სართულის (სასაწყობე მეურნეობის მოწყობისთვის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის პროექტის მომზადება - 14 000 ლარი.

სახელოვნებო სკოლები:

- სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სამ ხელოვნების სკოლას (N2, N19, N28) – 2 775 300 ლარი;
- დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში ფუნქციონირებს 34 სახელოვნებო სკოლა;
- ფინასდება 660 მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე და მათი მასწავლებელი;
- არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნების მიზნით ფინანსდება 750 მოსწავლე;
- ფინასდება 2630 სოციალურად დაუცველი მოსწავლე;
- სახელფასო ფონდის შესავსებად თანხა გამოიყო 34 ხელოვნების სკოლისთვის , ბიუჯეტი წლიურად 4 500 000.

მუზეუმები:

- ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 81184 ლარი;

- მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები (განახლდა მუზეუმის შენობა, მემორიალური და საგამოფენო სივრცეები) – 1149773 ლარი;
- ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის, ჩუბინაშვილის ქუჩა N22 მდებარე, სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები - 160000 ლარი;
- სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმისთვის გამოყოფილი შენობის ნაწილის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 295700 ლარი;
- ძირითადი ფონდი გაიზარდა 1023 ერთეულით (მემორიალური, ტიპოლოგიური ნივთები, სათამაშოები და თოჯინები და ა.შ) – 617482 ლარი;
- მუზეუმების მობილური აპლიკაცია - შექმნა და განვითარება, შეიქმნა 30-ზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამა, გამოცემულია 13 საერთაშორისო გრიფის მქონე ნაშრომი, რესტავრაცია ჩაუტარდა ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის ფონდში დაცულ 6 რარიტეტულ წიგნს - 297970 ლარი;

საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“:

- ორკესტრისთვის ინსტრუმენტების შეძენა - 261 363 ლარი;
- „ჯაზის საერთაშორისო დღის“ ფარგლებში 2025 წლის 30 აპრილს განხორციელდა საერთაშორისო პროექტი, სადაც მოწვეული ჰყავდათ სპეციალური სტუმრები - ფრანგი მუსიკოსი (დირიჟორი და მესაყვირე) ჟან ლუ ლონიონი, თურქი ვოკალისტი სიბელ კოსი და ბრიტანელი მუსიკოსი (ვოკალისტი) ჯეისონ ისააკი, პროექტის ბიუჯეტი - 50 681 ლარი.

ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდი

თანამედროვე და საჯარო ხელოვნების ცენტრი, როგორც კულტურის ჰაბი - თანამედროვე სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობის მიზნით საჯარო ხელოვნების ფონდის მიერ განხორციელდა 8 პროექტი - 342 008 ლარი.

კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა - 250-დან 300-მდე კულტურულ-შემეცნებითი, ინკლუზიური განათლების და კულტურის 40 პროექტი, თეატრალური ხელშეწყობის 120 პროექტი.

შემოქმედებითი თბილისი

გასული პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 70-მდე პროექტი, მათ შორის: საგამომცემლო პროექტის ელექტრონული ვერსიის მომზადება ან.და ბეჭდვა; დიზაინისა და რეწვის მიმართულების პროექტი; თანამედროვე აუდიოვიზუალური და ვიზუალური მიმართულების პროექტი; პროექტი მედია ხელოვნების მიმართულებით.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
კახა ლაბუჩიძემ.

კახა ლაბუჩიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს წარმოდგენილი ანგარიშისა და გაწეული საქმიანობისთვის და მიმდინარე წელს განსახორციელებელ პროგრამების განხორციელებასა და საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2025 წელს გაწეული საქმიანობის წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე